ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა
კომისიის სხდომის ოქმი #65

20 აგვისტო, 2021 წელი
14:00 საათი
(კომისიის თავმჯდომარის ოთახი)

ა/წ 20 აგვიტოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.
სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. გიორგი ბირბიჩაძე;
2. მიხეილ ამაშუკელი;
3. ვლადიმერ ძნელაძე;
4. გიორგი მუსხელიშვილი;
5. ზაზა მამალაძე.

მოწვეული სტუმარი:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურეგბის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ციალა ჯელაძე.

სხდომის დღის წესრიგი:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურეგბის საქალაქო სამსახურის მიერ ადმინისტრირებადი პროგრამებისა და მომავალი გეგმების შესახებ.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე.

გიორგი ბირბიჩაძემ მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დამსწრე წევრებს წარმოუდგინა ქვორუმი და გააცნო დღის წესრიგი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ციალა ჯელაძემ დამსწრე საზოგადოებას წარმოუდგინა ინფორმაცია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის მიერ ადმინისტრირებადი პროგრამების შესახებ.

ჯანდაცვის პროგრამებიდან ყურადღება გამახვილდა დაავადებათა სკრინინგზე, გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიურ კონტროლზე, გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსებაზე, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციაზე, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსებაზე, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურებაზე და ტრანსპლანტაციაზე.

რაც შეეხება სოციალურ პროგრამებს, იმსჯელეს: სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დაფინანსება, კომუნალური სუბსიდირება, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება, სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში, სასახლეში, ხელოვნებისა და სპორტულ სკოლებში, 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება, ომის ვეტერანების დახმარება, სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება, სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება, შშმ პირთა საკურორტო მომსახურება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის შინმოვლის თანადაფინანსება, სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის ხელშეწყობა, მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა, მგზავრობის შეღავათიანი საფასურით სარგებლობისთვის ბარათების დამზადება.

ქალაქ თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური 2021 წელს ადმინისტრირებას უწევს ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების 25 პროგრამას:

ჯანდაცვის პროგრამები - 7,

სოციალური მომსახურების პროგრამები - 18.

აღნიშნული პროგრამებისთვის ბიუჯეტი შეადგენს 58 442 850 ლარს.

მათ შორის:

ჯანდაცვის პროგრამები - 20 669 250 ლარი,

სოციალური მომსახურების პროგრამები - 37 773 600 ლარი.

წარმოდგენილი ანგარიში დადებითად შეაფასეს კომისიის წევრებმა და იმსჯელეს სამომავლო გეგმებზე.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ბირბიჩაძე